ხელშეკრულება № 82

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

(გამარტივებული შესყიდვა)

„31“ „ივლისი“ 2020 წ.

ქ. მცხეთა

ერთი მხრივ, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი **„საქპატენტი“**, შემდგომ წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი თავმჯდომარის **მინდია დავითაძის** სახით და მეორე მხრივ, **ინდივიდუალური მეწარმე თამარი მაისურაძე (01019006098)** შემდგომ წოდებული „მიმწოდებლად“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

მუხლი 1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება“ - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ყველა დოკუმენტაციით, რომელიც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ - მომსახურების ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ჩათვლით;

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ - პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7. „ინსპექტირება“ - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

ტვირთის გადაზიდვის მომსახურების შესყიდვა (CPV-63110000).

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **1800.00 (ერთი ათას რვაასი)** ლარს.

3.2 ერთი მარშრუტის ღირებულება შეადგენს 300 (სამასი) ლარს. მარშრუტის რაოდენობა 6 (ექვსი).

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სატვირთო ავტომანქანით (სიგრძე-4,30მ. სიმაღლე-2,30მ. სიგანე-2.10მ) „საქპატენტის“ მცხეთის ოფისიდან (მის: ქ. მცხეთა ანტიოქიის ქ. N5) ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში (ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება, გაბაშვილის N 71) მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაციისას გამოვლენილი ამორტიზირებული და უსარგებლო მოძრავი ქონების გადაზიდვა, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში.

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის შემსყიდველის მოთხოვნისთანავე გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ინსპექტირების განხორციელება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

მუხლი 5. ინსპექტირება

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ინსპექტირება, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის" ლოგისტიკის სამმართველოს უფროსი ბექა ქენქაძე.

5.3. შემსყიდველის მიერ ინსპექტირება განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.

5.4. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ მიწოდებულ მომსახურებაში აღმოჩნდება წუნი, მიმწოდებელი ვალდებულია 1 კალენდარული დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი.

მუხლი 6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

6.2. მიღება-ჩაბარებაზე ხელმოწერის უფლებამოსილება შემსყიდველის მხრიდან ენიჭება სსიპ-საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტის" ლოგისტიკის სამმართველოს უფროსს - ბექა ქენქაძეს.

მუხლი 7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

7.2. ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

7.3. ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

7.4. გ) დაფინანსების წყარო: საკუთარი სახსრები.

7.5. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორების განხორციელების ბოლო ვადა გადაიწევს მომდევნო სამუშაო დღეს.

7.6. შემსყიდველი უფლებამოსილია დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დააკავოს მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

მუხლი 8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

მუხლი 9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. წინამდებარე ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული პირობის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.3. წინამდებარე ხელშეკრულების 7.5 პუნქტით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების 0.1%-ის ოდენობით.

9.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 10 დღეს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ის ოდენობით.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ხორციელდება მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398- ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2. ამ ხელშეკრულების 11.1. პუნქტით გათვალისწინებული მოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიმართონ საქართველოს სასამართლოს.

მუხლი 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 31 ივლისიდან და მოქმედებს 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

მუხლი 14. ფორს-მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად.

მუხლი 16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთ-
რების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი",
წარმოდგენილი თავმჯდომარის
მინდია დავითაძის სახით,
მისამართი: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5,
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. №707807132,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ – 203831363

მიმწოდებელი:

ინდივიდუალური მეწარმე **თამარი მაისურაძე,**

მისამართი: ქ. თბილისი, ნაძალადევი, სააკაძის ქ. N 125
ტელ.: 599 868 586
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № GE81BG0000000162626448
სს „საქართველოს ბანკი", კოდი: BAGAGE22,

პ/ნ 01019006098

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, სატვირთო მანქანის მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებულ ხელშეკრულებაში **ინდივიდუალური მეწარმე „თამარი მაისურაძესთან“** (01019006098) ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

თავმჯდომარე	—	მ. დავითაძე
ლოგისტიკის სამმართველოს უფროსი	—	ბ. ქენქაძე
შესყიდვების მთავარი სპეციალისტი	—	მ. ებიტაშვილი
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი	—	ი. ჯოხაძე
საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	—	ვ. სიხარულიძე
სამართლებრივი უზრუნველყოფის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი	—	ნ. გასიშვილი